

38 მედალი – დაჭრიდი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების გუნდის ტრიუმფი



აშშ-ში, პენდერტონის საზღვაო ქვეითთა ბაზაზე გამართულ „საზღვაო ქვეითთა თამაშებიდან“ დაბრუნებული დაჭრიდი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების გუნდი საქართველოში 38 მედლით დაბრუნდა.

პარასპორტსმენებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში თავდაცვის მინისტრი დევიან იზორია და თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია დახვდნენ. თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულ მებრძორებს ფურადი ჯიღო გადაეცემათ.

პენდერტონის საზღვაო ქვეითთა ბაზაზე გამართულ შეჯიბრებებში დაჭრიდი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებულმა 12-კაციანმა გუნდმა 38 მედალი მოიპოვა.



24 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით ჩატარებულ ტურნირში, რომელშიც 7 ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი იყო ჩართული, ქართველმა სამხედროებმა სპორტის 8 სახეობაში წარმატებით იასპარეზეს, მათ შორის – მჭდომარე ვადათბურთში, ცურვაში, სროლაში, მშვიდღოსნობაში, ნიჩბოსნობაში, ეტლით სირბილში და ვეროსპორტში. პარასპორტსმენებმა 20 – ოქროს, 10 – ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი აიღეს.

საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლებმა ამერიკის საზღვაო ქვეითების ყოველწიურ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა მუხუთედ მიიღეს. ქართველმა დაჭრილმა და დაშავებულმა სამხედროებმა „საზღვაო ქვეითთა“ თამაშებში გასულ წელსაც იასპარეზეს და საქართველოში 20 მედლით დაბრუნდნენ.